



გალტი & თავართი

შპს-ით შვისაკლამბლთბებს

# ნელლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

10 ივლისი 2024

## ევა ბოჭორიშვილი

კვლევის დეპარტამენტის უფროსი | [evabochorishvili@gt.ge](mailto:evabochorishvili@gt.ge) | +995 322 401 111 ext.8036

## კახაბერ სამყურაშვილი

სექტორული კვლევის უფროსი | [ksamkurashvili@gt.ge](mailto:ksamkurashvili@gt.ge) | +995 322 401 111 ext.4298

## სერგი ყურაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | [s.kurashvili@gt.ge](mailto:s.kurashvili@gt.ge) | +995 322 401 111 ext.3654



## ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თვე/თვე*	ცვლილება, 2024 წლის დასაწყისიდან	ფასის ცვლილება 2021 წლის იანვრიდან დღემდე
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	220.0	+17.3%	+22.2%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	86.4	+5.9%	+12.2%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	9,456.0	-4.6%	+11.7%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,315.0	-3.7%	-1.5%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,575.3	-3.2%	+13.9%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	2,326.8	-0.0%	+12.8%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მკვ სთ	36.2	-5.3%	+15.9%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	220.0	-6.4%	-16.1%	

წყარო: ბლუმბერგი  
შენიშვნა: ფასები მოცემულია 2024 წლის 28 ივნისის მდგომარეობით

\*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



# ენერჯეტიკა

## ნავთობი

2024 წლის ივნისში ნავთობის ფასი თვიურად 5.9%-ით გაიზარდა. ზრდის ერთ-ერთი განმარტობებელი ფაქტორი ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის ესკალაციის ალბათობა იყო. ისრაელის განცხადებით, რაფაჰის სახმელეთო ოპერაცია დასასრულს უახლოვდება. კონფლიქტის დაწყებიდან, ისრაელისა და ჰესბოლას მებრძოლები ყოველდღიურად ახორციელებენ ერთმანეთის საპასუხო დარტყმებს, თუმცა სრულმასშტაბიანი ომი ესკალაციის ახალი ეტაპი იქნება. ამ ეტაპზე, ნავთობის ფასებზე ეფექტი ლიმიტირებულია, ვინაიდან არც ერთი მხარე ნავთობის მსხვილი მომპოვებელი არ არის. თუმცა, თუ ომმა უფრო ფართო სახე მიიღო და მასში ირანიც ჩაერთო, ეფექტი ბევრად მსხვილი იქნება.

გარდა გეოპოლიტიკური რისკებისა, ფასზე კატაკლიზმური მოვლენებიც მოქმედებს. ჩრდილოეთ ამერიკაში ქარიშხლის სეზონი, როგორც წესი, ზაფხულის მეორე ნახევარში იწყება, როცა ოკეანის ტემპერატურა იზრდება. თუმცა, რეკორდული სიციხის გამო პირველი ძლიერი ქარიშხალი (ბერილი) უკვე გააქტიურდა. მომდევნო თვეების განმავლობაში ქარიშხალი კვლავ მოსალოდნელია, რამაც შესაძლოა კონტინენტის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების ოპერაციები შეაჩეროს. ჩრდილოეთ ამერიკული წარმოება ნავთობის გლობალური ვაჭრობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ OPEC+-ის არაწევრი ქვეყნების წილი მნიშვნელოვნად მზარდია, რაც ძირითადად აშშ-ს დამსახურებაა. OPEC+-ის წილი ჯამურ წარმოებაში 48.5%-მდე შემცირდა - 2016 წლიდან (მისი დაარსებიდან) ყველაზე დაბალი მაჩვენებელი. ეს, გარდა სხვა ქვეყნებში მოპოვების ზრდისა, წარმოების ნებაყოფლობითი შემცირების შედეგაცაა. ამასთან შესაძლოა წარმოება კვლავ გაიზარდოს 2024 წლის ოქტომბრიდან, თუმცა ეს გადაწყვეტილება გლობალური ეკონომიკისა და მოთხოვნის დინამიკის მიხედვით გადაიხედება.


ნავთობის გაზრდილი ფასი ადრე თუ გვიან ბენზინგასამართ სადგურებზე გაზრდილ ფასებში ითარგმნება, რაც ბაიდენის ადმინისტრაციას, განსაკუთრებით არჩევნების მოახლოების დროს, არ აწყობს. მზარდი ფასებისა და ინფლაციის ფონზე, შესაძლებელია რომ მოქმედმა პრეზიდენტმა სანვავის სტრატეგიული რეზერვები გამოიყენოს.

რუსეთის გადაწყვეტილებით, ბენზინის ექსპორტის შეზღუდვა კიდევ ერთი თვე არ იმოქმედებს. ცნობისთვის, ადგილობრივი ბაზრის სტაბილიზაციის მიზნით რუსეთმა 2024 წლის 1-ლი მარტიდან ბენზინის ექსპორტი 6 თვით აკრძალა. 2024 წლის 20 მაისს გამოცხადდა, რომ ეს შეზღუდვა 30 ივნისამდე აღარ იმოქმედებდა, უახლესი ინფორმაციით კი ეს ვადა 31 ივლისამდე გაგრძელდა. მათი განცხადებით, ადგილობრივმა ბაზარმა საკმარისად მოასწრო გაჯერება, შესაბამისად, ივარაუდება რომ შეზღუდვა ივლისის შემდეგაც არ იმოქმედებს.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი



გრაფიკი 2: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბენზინის და დიზელის იმპორტის მოცულობა წლიურად 8.2%-ით გაიზარდა 5თვ24-ში და 460 ტონა შეადგინა. იმპორტის საშუალო ფასი ამავე პერიოდში 13.6%-ით გაიზარდა.



# ენერჯეტიკა

## ბუნებრივი აირი


2024 წლის ივნისში ბუნებრივი აირის ფასი თვიურად 5.3%-ით შემცირდა. მიუხედავად ფასის შედარებით მცირე ცვალებადობისა, თვის განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა მოხდა ინდუსტრიისთვის. სიახლეები ძირითადად რუსეთის, ევროკავშირისა და აშშ-ს მხრიდანაა.

ევროკავშირის ბუნებრივი აირის იმპორტში რუსეთის წილი შესაძლოა კიდევ უფრო შემცირდეს. რუსეთ-უკრაინის ხუთწლიანი შეთანხმება გაზის ტრანზიტის შესახებ მიმდინარე წლის ბოლოს იწურება. განცხადებების მიხედვით, არც უკრაინა და არც ევროკავშირი კონტრაქტის გახანგრძლივებით დაინტერესებული არაა. აღსანიშნავია, რომ უკრაინამ უკვე გააფორმა LNG-ის შესყიდვის ხელშეკრულება ამერიკულ კომპანიასთან. უკრაინისთვის ახალი მიწოდების წყაროს გაჩენასთან ერთად, ხელშეკრულება აღმოსავლეთ ევროპის (და მთლიანად ევროპის) ენერჯო უსაფრთხოებას უწყობს ხელს.

ევროკავშირის ბაზრის დაკარგვის შემდეგ რუსეთს კვლავ უჭირს სტაბილური და მსხვილი მომხმარებლის მოძიება. ჩინეთთან Power of Siberia 2 პროექტზე საბოლოო შეთანხმება ჯერ კიდევ ნაადრევია. დამატებით, ევროკავშირი კრძალავს მისი ტერიტორიიდან რუსული გათხევადებული ბუნებრივი აირის (LNG) რეექსპორტს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ვაჭრობა რუსული LNG ექსპორტის მცირე წილს იკავებდა, აკრძალვა მაინც შეასუსტებს ზოგიერთ ბაზართან კავშირს. ამასთან, სანქციებისთვის თავის ასარიდებლად რუსეთი ბუნებრივი აირის ჩრდილოვანი ფლოტის შექმნას ცდილობს. მსგავსი მანევრი ნავთობის ტრანსპორტირებისთვის აქამდე გამოიყენებოდა, LNG-ის შემთხვევაში კი შედარებით რთული იქნება. პირველ რიგში, LNG-ის გადამზიდი გემები ბევრად მცირე ნავთობმზიდების რაოდენობასთან შედარებით. დამატებით, ერთი ტანკერიდან ნავთობის მეორეში გადატანა შუა ოკეანეშივე შესაძლებელი, რაც მისი წარმომავლობის დამალვას ამარტივებს. LNG-ის შემთხვევაში იგივე პროცესი თითქმის შეუძლებელია.


წლის დასაწყისში, კლიმატის აქტივისტების გავლენით, ბაიდენის ადმინისტრაციამ LNG-ის ექსპორტისთვის ახალი ლიცენზიების გაცემა შეაჩერა. ადმინისტრაციის განცხადებით, არსებულ ლიცენზიებსა და სტრატეგიული პარტნიორების გაზის მოთხოვნას საფრთხე არ ემუქრებოდა. ინდუსტრიის წარმომადგენლები კი თვლიდნენ, რომ გადაწყვეტილება გრძელვადიან პერსპექტივაში უარყოფითად იმოქმედებდა აშშ-ს მიმართ ნდობაზე. 2024 წლის ივლისის დასაწყისში ფედერალურმა მოსამართლემ პრეზიდენტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას „უმიზიზო“ უწოდა და შეაჩერა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ახალ ლიცენზიებზე დაუყოვნებლივ არ იმოქმედებს, ეს მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია გლობალური გაზის ინდუსტრიისთვის.

გრაფიკი 3: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მვტ სთ



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბუნებრივი აირის იმპორტის ღირებულება წლიურად 21.4%-ით შემცირდა 5თვ24-ში, რაც დაბალი საიმპორტო ფასის შედეგია, რადგან მოცულობა ბევრად ნაკლებად 7.4%-ით შემცირდა 5/5.

წყარო: საქსტატი



# ძვირფასი ლითონები

## ოქრო


2024 წლის ივნისში ოქროს ფასი სტაბილური იყო და თვე თითქმის უცვლელად - ერთ უნციაზე \$2,327 ლირებულებით დახურა. აშშ-ში დაფიქსირებული დასაქმების ძლიერი მაჩვენებლების შედეგად, საპროცენტო განაკვეთების კლების მოლოდინი კიდევ ერთხელ გადავადდა, რაც ოქროს ფასზე უარყოფითად მოქმედებს. ფედერალური რეზერვის წარმომადგენლების მიხედვით, მათ განაკვეთების კლების დაწყებამდე ინფლაციის შენელების მეტი მტკიცებულება სჭირდებათ. ამ ეტაპზე, ბაზარზე წლის განმავლობაში განაკვეთების ერთი შემცირება ივარაუდება 2024 წლის დეკემბერში.

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც ინვესტორების სენტიმენტზე უარყოფითად მოქმედებს ჩინური ცენტრალური ბანკის მიერ 18-თვიანი უწყვეტი შესყიდვების შეჩერებაა. 2024 წლის მაისსა და ივნისში ჩინეთის სახალხო ბანკმა ძვირფასი მეთალი არ იყიდა. მიუხედავად ამისა, ანალიტიკოსები ვარაუდობენ რომ ეს დროებითი პაუზაა და პროცესი კვლავ გაგრძელდება. საქსო ბანკის მიხედვით „ჩინეთი ახლოსაც არაა ოქროს ყიდვის დასრულებასთან“.

მოთხოვნა სხვა ცენტრალური ბანკების მხრიდან მაღალი რჩება, მოლოდინი კი კვლავ პოზიტიურია. მსოფლიოს ოქროს კავშირის (WGC) გამოკითხვის მიხედვით, ცენტრალური ბანკების 81% ელის რომ შემდეგ 12 თვეში რეზერვებში ოქროს მოცულობა გაიზარდება. აღსანიშნავია, რომ განვითარებული ეკონომიკების ცენტრალური ბანკების 13% ოქროს შესყიდვას აპირებს. აქამდე, ძირითადად, განვითარებადი ქვეყნები იყვნენ მოთხოვნის ზრდის ძირითადი წყარო. რესპოდენტების მიხედვით, ცენტრალურ ბანკებში ოქრო პოპულარულია, რადგან ის გრძელვადიანად ინარჩუნებს ღირებულებას და კრიზისის დროს კარგი ჰეჯირებისა და ეფექტური დივერსიფიკაციის იარაღია.


ცენტრალურმა ბანკებმა 2022-23 წლებში ჯამურად 2,000 ტონა ოქროზე მეტი შეიძინეს. შესყიდვები 2024 წელსაც გაგრძელდა, რაც ფასებზე აისახა და მაისში ოქროს ახალ რეკორდულ ფასში - \$2,450-ში ითარგმნა.

გრაფიკი 5: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ოქროს ექსპორტის მოცულობა წლიურად 10.9%-ით შემცირდა 5თვ24-ში. გლობალურად ფასის ზრდამ ექსპორტის საშუალოს ფასზეც იმოქმედა, რომელიც წლიურად 21.4%-ით გაიზარდა.

წყარო: საქსტატი



# სოფლის მეურნეობა


## ამონიუმის ნიტრატის

2024 წლის ივნისში ამონიუმის ნიტრატის ფასი 17.3%-ით გაიზარდა. ვინაიდან ბუნებრივი აირი აზოტოვანი სასუქების წარმოების მთავარი კომპონენტია, მათი ფასები ერთმანეთთან მაღალი კორელაციით ხასიათდება. შესაბამისად, 2024 წლის მაისში ბუნებრივი აირის ფასის 20.4%-იანი თვიური ზრდის შემდეგ, ივნისში ამონიუმის ნიტრატის ფასის ზრდა მოულოდნელი არ იყო. მიუხედავად ფასის ზრდისა, მსხვილი მწარმოებლის - Nutrien-ის მიხედვით, მერყევი წლების შემდეგ ბაზარი სტაბილურობას უბრუნდება. კომპანიის განცხადებით, რეკორდულად მაღალი ფასების გამო წინა პერიოდებში შემცირებული მოთხოვნა ამ ეტაპზე თანდათანობით იზრდება. თუმცა, წითელ ზღვაში მიმდინარე კრიზისი ინდუსტრიის ლოგისტიკისთვის კვლავ გამოწვევად რჩება.

## ხორბალი

2024 წლის ივნისში ხორბლის ფასი თვიურად 6.4%-ით შემცირდა. მიუხედავად კლებისა, გლობალურად მიწოდების მოლოდინი კვლავ პესიმისტურია. ჩვენი წინა მიმოხილვის მიხედვით, უკრაინასა და რუსეთში შემცირებულ მოსავალს ელიან. დამატებით, წვიმების გამო ევროპის ორ მსხვილ მწარმოებელ ქვეყანაში - საფრანგეთსა და ბრიტანეთშიც მოსავლის კლებაა მოსალოდნელი. ჩინეთში კი მარცვლეულს გვალვა უქმნის საფრთხეს. ბოლო თვეებში პეკინი გლობალურ ბირჟებზე მსხვილი შესყიდვებისგან თავს იკავებდა, ვინაიდან ადგილობრივი ბაზარი საკმარისად იყო გაჯერებული, თუმცა მოსავლის კლების ფონზე შეიძლება კვლავ მოუწიოს მსოფლიო ვაჭრობაში ჩაბმა.

გრაფიკი 7: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 8: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 9: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



აზოტოვანი სასუქების ექსპორტის ღირებულება წლიურად 38.7%-ით შემცირდა 5თვ24-ში. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მოცულობა 20.8%-ით არის გაზრდილი, ხოლო საექსპორტო ფასი მნიშვნელოვნადაა შემცირებული (-49.2%).

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 10: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ხორბლის იმპორტის ღირებულება წლიურად 35.3%-ითაა გაზრდილი 5თვ24-ში, ხოლო მოცულობა 75.9%-ით, რაც შემცირებული საშუალო იმპორტის ფასითაა გამოწვეული (-23.1% 5/5).

წყარო: საქსტატი



# ლითონები და მადნები


## სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2024 წლის ივნისში სპილენძის ფასი თვიურად 4.6%-ით შემცირდა. გაზაფხულზე დაფიქსირებული რეკორდული \$11,000-იანი ნიშნულის შემდეგ, რაც ტრეიდერების სპეკულაციის შედეგი იყო, ფასი შედარებით დასტაბილურდა. თუმცა, მალაქმა ფასებმა მომხმარებლებს შესყიდვების გადავადება აიძულა და დეფიციტის მოლოდინები არ რეალიზდა. შედეგად, ივნისის დასაწყისში ჩინეთში სპილენძის მარაგები 2020 წლის შემდეგ უმაღლეს ნიშნულს აღწევდა. ფასის კლებასთან ერთად მომხმარებლის ნაწილი ბირჟაზე დაბრუნდა, რამაც თვის ბოლოს ჩინური მარაგების მცირედით კლება გამოიწვია. მიუხედავად ფასის ბოლო დინამიკისა, ფასის გრძელვადიანი პროგნოზი კვლავ ოპტიმისტურია, ვინაიდან მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსი მოსალოდნელია.

## ფეროსილიკონი


2024 წლის ივნისში ფეროპული ფეროსილიკონის ფასი თვიურად 3.2%-ით, ხოლო ჩინურის 3.7%-ით შემცირდა. თუმცა, თვიურად 18.9%-ით გაიზარდა სილიკონ-მანგანუმის ფასი, რაც ავსტრალიაში შტორმის გამო მანგანუმის მომპოვებელი მალაროს (მსოფლიოში სიდიდით მე-2) დახურვას უკავშირდება. ორივე მეტალი ფოლადის წარმოებაში გამოიყენება, თუმცა მათი თვისებებიდან გამომდინარე ფასის ზრდის ეფექტი ფეროსილიკონზე ლიმიტირებული იქნება. მოთხოვნის მხარეს ჩინური ფოლადის წარმოება კვლავ მნიშვნელოვნად შემცირებული რჩება.

გრაფიკი 11: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 12: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 13: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



სპილენძით საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი რეექსპორტია და გარე ფაქტორებზე დამოკიდებული. 2023 წლის კვების შემდეგ, იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა დაბალი ნიშნულზეა 5თვ24-ში.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 14: ფეროშენადნოების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ფეროშენადნოების ექსპორტის ღირებულება წლიურად 22.1%-ით, მოცულობა კი 41.3%-ით გაიზარდა 5თვ24-ში. ზრდა შესაძლოა ტრენდის შემობრუნების ნიშანი იყოს, თუმცა ჯერ დასკვნის გაკეთება ნაადრევია.

წყარო: საქსტატი



## მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომხმარებელია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაყვლითი ექსპონენცია.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმვის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგობა ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდგომ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდგომ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების, ან აგენტების მიერ არ გაყვამულია რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე, მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გააღვიძოს მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვას.

**კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი**  
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

**მთავარი ეკონომისტი**  
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

**ანალიტიკის მთავარი ოფიცერი**  
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

**სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი**  
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

**სექტორის უფროსი**  
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

**სექტორის უფროსი**  
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

**ასოცირებული ანალიტიკოსი**  
გიორგი ცქიტაშვილი | g.tsikitishvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
ზურაბ თავკელიშვილი | ztavkelishvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
სერგი ყურაშვილი | s.kurashvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
დაჩი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
მარიამ ოქროპირიძე | maokropiridze@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

**გალტ ენდ თაგარტი**

**მისამართი:** პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

**ტელ:** + (995) 32 2401 111

**ელ. ფოსტა:** research@gt.ge